



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაჩეჩილაძე რუსუდან ვახტანგის ასული

გაჩეჩილაძე რუსუდან ვახტანგის ასული (დ. 22. VIII. 1936, თბილისი), მოქანდაკე. საქართველო. დამს. მხატვარი (1979). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1957). ამავე წლიდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. გ. ძირითადად მუშაობს დაზგურ ქანდაკებაში, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფორმის უზადო გრძნობა, ნათელი და ცხადი კომპოზიცია, ფსიქოლ. სიღრმე, პოეტურობა, შინაგანი დაძაბული რიტმი და დრამატიზმი. მოქანდაკე დიდი სიყვარულით ძერწავს მისთვის საყვარელ და ახლობელ ადამიანებს. ძირითადი ნამუშევრები: „შუშანა“ (1964, თაბაშირი, მხატვრის სახელოსნო), „მშვილდოსანი“ (1975, ბრინჯაო), „შირაქის ველი“ (კომპოზიცია, ბრინჯაო, ორივე საქართველო. კულტურის სამინისტრო), „ანეტა“ (1976, თაბაშირი, საქართველო. მხატვართა კავშირის პრიზი - წლის საუკეთესო ნამუშევარი), „მეხრე“ (1978, ბრინჯაო, წლის საუკეთესო ნამუშევარი, ორივე მხატვრის კუთვნილება), „გ. ხარანაული“ (1981, ბრინჯაო, საქართველო. სურათების გალერეა, თბილისი), „იუზა“ (1985, თაბაშირი), „თათიას პორტრეტი“ (1986, თაბაშირი), დათოს პორტრეტი (1990, თაბაშირი, სამივე მხატვრის კუთვნილება) და სხვ.

ა. ჩხარტიშვილი
